ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 11
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

ერთი მხრივ ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ცისნამი დილებაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ა, ს/კ 205271365, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, GE24NB0330100200165022 და მეორე მხრივ, შპს „ჩემი ოფისი“ (მისამართი: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. #9, ს/კ 401997112, სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE58TB7539736080100001) წარმოდგენილი გიორგი კახუაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“– პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
2.2 შესყიდვის კონკრეტული ობიექტია პრინტერის კარტრიჯების დამუხტვისა და აღდგენის (ბარაბნის შეცვლა) მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.3 კლასიფიკატორის კოდი: 50300000; 50320000 - პერსონალური კომპიუტერების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 1 ცალი კარტრიჯის (05A) დამუხტვის ღირებულება შეადგენს **19.00 (ცხრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.
3.2 1 ცალი კარტრიჯის (2612A) დამუხტვის ღირებულება შეადგენს **19.00 (ცხრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.
3.3 1 ცალი კარტრიჯის (283A) დამუხტვის ღირებულება შეადგენს **19.00 (ცხრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.
3.4 1 ცალი კომპიუტერის windows ჩაწერა შეადგენს **35.00 (ოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.
3.5 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **500.00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.
3.6 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.7 დაფინანსების წყარო: თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის სახსრები.
3.8 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3.9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
3.10 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

4. გაწეული მომსახურების ხარისხი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მოწოდებული იქნება მაღალი ხარისხის მომსახურება და უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და შესაბამისობაში იქნება მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან.

5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1. მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ ყოველი კონკრეტული მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
5.2. მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ა, მე-2 სართული.

6. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი ცისნამი დილებაშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.5 ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და ვალდებულებები

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

გ) განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეული მომსახურების მიღებაზე;

დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ჯეროვანი მიწოდება.

ბ) მომსახურების მიწოდების პროცესში შემსყიდველს მოახსენოს გამოვლენილი პრობლემების შესახებ, გაუწიოს სათანადო კონსულტაციები მათ აღმოსაფხვრელად;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაცია აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს დასაბუთებული პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

9.2 კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი ცისნამი დილებაშვილი.

9.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ გაწეული მომსახურება აღმოჩნდება უხარისხო/წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს გაწეული მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

11.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

11.5 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკურლების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.2 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

ბ) მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

14.2 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ერთ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

17.3 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან, ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 17.4 პუნქტში მითითებული მობილურის ნომერი.

17.4 წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელები ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

მის: საქართველო, ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. #29ა, მე-2 სართული

სახელმწიფო ხაზინა

კოდი: TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022

ს/კოდი: 205271365

Tsisnam Dilebashvili

Digitally signed by Tsisnam Dilebashvili
Date: 2023.03.24 10:58:00 +04'00'

ცისნამი დილებაშვილი

Tbilisi City Municipal Center for Disease Surveillance and Control

Digitally signed by Tbilisi City Municipal Center for Disease Surveillance and Control
Date: 2023.03.24 10:58:47 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „ჩემი ოფისი“

მის: თბილისი, ბელიაშვილის ქ. #9

სს „თი ბი სი ბანკი“

კოდი: TBCBGE22

ა/ა GE58TB7539736080100001

ს/კოდი: 401997112

My Office LLC

Digitally signed by My Office LLC
Date: 2023.03.24 11:42:31 +04'00'

გიორგი კახუაშვილი